

სტუდენტის სწავლის დაფინანსება

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადით, თავისუფლდებიან მშობლების მზრუნველობას მოკლებული სტუდენტები (დედამამით ობოლი ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილები).

სასწავლო/სამეცნიერო მიზნით ბსუ-ს სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) ნაწილობრივი დაფინანსების შესახებ სტუდენტის განცხადებას განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა შესაბამისი ბრძანება, თუკი სტუდენტების დაფინანსებისათვის ხარჯი ერთი სემესტრის განმავლობაში არ აღემატება შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ წინა სემესტრში გადახდილისწავლის საფასურის საერთო რაოდენობის 1 (ერთ) %-ს.ამასთან, ერთი სტუდენტის დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათას) ლარს (**დანართი 3-ის მე-7 მუხლი**)

ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით შეღავათები ბსუ-ს სტუდენტთათვის შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ სპეციალური სოციალური პროგრამის ფარგლებში ან/და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით/ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით (**დანართი 3, დანართი 8**)